

UDC 327

SCOPUS CODE 3320

<https://doi.org/10.36073/1512-0996-2022-1-236-246>

იძულებით გადაადგილებულ პირთა ინტეგრაცია როგორც უფლება

გრიგოლ გიორგაძე პოლიტიკისა და საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო, 0160, თბილისი, მ. კოსტავას 77
E-mail: Giga_giorgadze@yahoo.com

რეცენზენტები:

ჯ. გაბელია, სტუ-ის სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის პროფესორი, სამართლის დოქტორი

E-mail: jemal.gabelia@mail.ru

დ. ხუფენია, სტუ-ის სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის ასისტენტ-პროფესორი, საერთაშორისო ურთიერთობების დოქტორი

E-mail: khupenia.d@gmail.com

ანოტაცია. ქვეყნის შიგნით იძულებით გადაადგილებულ პირთა გრძელვადიანი გადაწყვეტის გზებისა და მიდგომების ანალიზისას მნიშვნელოვანია საკითხის ფართოდ გააზრება, მათ შორის იძულებით გადაადგილებულ პირთა იმ მახასიათებლების, რაც მათ მოწყვლადობასა და სპეციფიკური მხარდაჭერის საჭიროებას განაპირობებს; იძულებით გადაადგილებულ პირთა საჭიროების სწორად შეფასება გრძელვადიანი გადაწყვეტის ფორმის შერჩევაში და ინტეგრაციის პროცესის წარმართვისათვის აუცილებელი პირობების შექმნა და ინტეგრაციის შემადგენელი კომპონენტების სწორი მისადაგება; ამ ყოველივეს იმპლემენტაციისათვის შესაბამისი ნორმა-

ტიული ბაზის ჩამოყალიბება და მექანიზმების ეფექტიანი ამუშავება.

საკვანძო სიტყვები: გრძელვადიანი გადაწყვეტა; დევნილი; ინტეგრაცია; ქვეყნის შიგნით იძულებით გადაადგილებული პირი.

შესავალი

დღეს მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში მიმდინარე კონფლიქტების, ძალადობის, ადამიანის უფლებათა დარღვევების ფონზე მილიონობით ადამიანი იძულებულია დატოვოს საცხოვრებელი ადგილი და სახელმწიფოს შიგნით ან საზღვრებს მიღმა

ედიოს უსაფრთხო თავშესაფარი. აღნიშნული თემა ძალზე აქტუალურია, რამდენადაც იძულებით გადაადგილებული პირების ნაკადის მიღების და მასთან დაკავშირებული სოციალურ-ეკონომიკური თუ პოლიტიკური გამოწვევების გამკლავება სახელმწიფოს ეროვნული ხელისუფლების პასუხისმგებლობაა, ხოლო უფლებამწიფი იძულებით გადაადგილებული პირების უფლებების დაცვა – ვალდებულება.

ქვემოთ განხილულია იძულებით გადაადგილებული პირის განმარტება საერთაშორისო მიდგომებით, იძულებით გადაადგილებულ პირთა მახასიათებლები მიგრაციული გამოცდილების გათვალისწინებით და მათი მოწყვლადობის განმაპირობებელი ფაქტორები, უფლებრივი მდგომარეობის საკითხები; გრძელვადიანი გადაწყვეტის მნიშვნელობა როგორც ინდივიდისთვის, ისე სახელმწიფოსთვის და მისი ფორმები; გრძელვადიანი გადაწყვეტის მექანიზმები და პროცესი. ძალზედ მნიშვნელოვანია თომას ვაისისა და დავიდ კორნის შეხედულებები ქვეყნის შიგნით იძულებით გადაადგილების ბუნებასა და მათი ინტეგრაციის გზებთან დაკავშირებით.

სტატიის დიდი ნაწილი ეთმობა ინტეგრაციის, როგორც გრძელვადიანი გადაწყვეტის ყველაზე რელევანტური ფორმის, არსის, პროცესის განმარტებას, მის მიმართ არსებული მიდგომების მიმოხილვას. აქცენტი გაკეთებულია იძულებით გადაადგილებულ პირთა ინტეგრაციის განმსაზღვრელ ძირითად მახასიათებლებზე, იძულებით გადაადგილებასთან დაკავშირებულ საერთაშორისო სახელმძღვანელო პრინციპზე. წარმოდგენილია ქვეყნის შიგნით იძულებით გადაადგილებული პირებისა და ლტოლვი-

ლების ინტეგრაციის პროცესის განსხვავებისა და მსგავსების ანალიზი და ინტეგრაციის პროცესის წარმართვის პირობები და შედეგები.

ძირითადი ნაწილი

არ არსებობს 1951 წლის ლტოლვილთა კონვენციის მსგავსი უნივერსალური და ვალდებულებითი სამართლებრივი ინსტრუმენტი, რომელიც კონკრეტულად ქვეყნის შიგნით იძულებით გადაადგილებულთა გამოწვევებს საერთაშორისო სამართლებრივ ჩარჩოში მოაქცევს. თუმცა, ქვეყნის შიგნით იძულებით გადაადგილებულ პირთა უფლებები დაცულია ადამიანის უფლებათა საერთაშორისო და შიგა სამართლით და, შეიარაღებული კონფლიქტის დროს, საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლით. ქვეყნის შიგნით იძულებით გადაადგილების შესახებ [1] გაეროს სახელმძღვანელო პრინციპები საჭირო მითითებებს იძლევა იძულებით გადაადგილების სპეციფიკურ ასპექტებზე, რომელთაც დიდი საერთაშორისო მხარდაჭერა აქვს და ბევრი სახელმწიფოს მიერ ინტეგრირებულია შიგა კანონმდებლობაში. სახელმძღვანელო პრინციპების დებულებები მოიცავს საერთაშორისო ადამიანის უფლებათა და საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ნორმებს.

იძულებით გადაადგილების შედეგებზე და ქვეყნის შიგნით იძულებით გადაადგილებული პირის უფლებებზე საუბრისას მნიშვნელოვანია იძულებით გადაადგილებული პირის განსაზღვრა. მიუხედავად იმისა, რომ იმის სამართლებრივი განმარტება არ არსებობს, თუ ვინ არის ქვეყნის შიგნით იძულებით გადაადგილებული პირი, სახელმძღვანელო პრინციპები გვთავაზობს აღწერილობით

განმარტებას და ყურადღებას უთმობს იმ მახასიათებლებს, რომელიც იძულებით გადაადგილებულ პირებს მოწყვლადად აქცევს.

სახელმძღვანელო პრინციპების მიხედვით, ქვეყნის შიგნით იძულებით გადაადგილებულები არიან პირები ან პირთა ჯგუფი, რომლებიც იძულებული ან ვალდებული იყვნენ დაეტოვებინათ მუდმივი საცხოვრებელი, კონკრეტულად შეიარაღებული კონფლიქტის, ზოგადი ძალადობის, ადამიანის უფლებათა დარღვევის ან ბუნებრივი თუ ადამიანის ჩარევის შედეგად გამოწვეული კატასტროფების გავლენის თავიდან ასარიდებლად და რომელთაც არ გადაუკვეთავთ სახელმწიფო საზღვარი – არ დაუტოვებიათ ქვეყანა.

მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნა, რა გამოჰყოფს იძულებით გადაადგილებულ პირებს მიგრანტთა ფართო ჯგუფიდან და რა განსაკუთრებული მახასიათებლები აქვთ, რაც მათდამი განსხვავებული მოპყრობის საჭიროებას განაპირობებს. სწორედ ზემოაღნიშნულ განმარტებაშია გამოყოფილი ის ორი მნიშვნელოვანი კომპონენტი, რომელიც ამ განსხვავებას ქმნის. პირველი – გადაადგილების იძულებითი ან არანებაყოფლობითი ხასიათი და მეორე – ფაქტი, რომ გადაადგილება ხდება კონკრეტული სახელმწიფოს საზღვრებში. შესაბამისად, როცა იძულებით გადაადგილებული პირის უფლებებზე ვსაუბრობთ, გასათვალისწინებელია, რომ პირი ამ სახელმწიფოს მოქალაქეა და ეს, თავისთავად, სახელმწიფოს მათი უფლებების დაცვასა და მხარდაჭერას ავალდებულებს და ეს განსხვავდება ლტოლვილთა სიტუაციისგან. ლტოლვილის სტატუსისგან განსხვავებით, საერთაშორისო სამართლით არ არის დადგენილი „ქვეყნის შიგნით იძულებით გადაად-

გილებული პირის სტატუსი“, რომელიც გარკვეულ უფლებებს ანიჭებს პირს სტატუსის დადგენის შემდგომ. თუმცა, საერთაშორისო სამართლის პერსპექტივიდან, გადაადგილება არის ფაქტობრივი მდგომარეობა, რომელიც გარკვეულ სამართლებრივ შედეგებს წარმოშობს.

იძულებით გადაადგილების არსის განსაზღვრისას იძულებით გადაადგილებულ პირთა განსხვავებული, განსაკუთრებული ბუნების ანალიზი სამი ძირითადი მიმართულებით უნდა მოხდეს:

პირველ რიგში გასათვალისწინებელია იძულებით მიგრაციაში მყოფ პირთა – იძულებით გადაადგილებულ პირთა მიგრაციული გამოცდილება და, აქედან გამომდინარე, მათი საჭიროებები. ამასთან დაკავშირებით, სავსებით მისაღებია ბ. სტეინის პოზიცია, რომელსაც მიაჩნია, რომ განსხვავებით ნებაყოფლობითი მიგრანტებისაგან, ისინი ბევრად უფრო მოწყვლად სიტუაციაში იმყოფებიან როგორც მუდმივი საცხოვრებელი ადგილის დატოვების მიზეზების, ისე მიმღებ სახელმწიფოში მათ წინაშე არსებული გამოწვევების გამო [2]. ამაზე ამახვილებს ყურადღებას ასევე დ. ტურტონი: „სწორედ ამიტომაც მნიშვნელოვანი, ერთი მხრივ, დაცვის მინიჭება აღნიშნული პირებისადმი და, მეორე მხრივ, კი მათი შემდგომი ინტეგრაციის სათანადო წარმართვა“ [3, 11]. ადამიანებს საცხოვრებლის დატოვება უწევთ სხვადასხვა მიზეზით, მათ შორის საცხოვრებელი ადგილის სოციალური და ეკონომიკური განვითარების დაბალი დონით და უკეთესი შესაძლებლობის ძიებით. თუმცა დევნის, ომის, განურჩეველი ძალადობის, ეთნიკური წმენდის, ადამიანის უფლებათა დარღვევის თუ ბუნებრივი კატასტროფების შედეგად, უსაფრთხოების, მათი უფლებათა დაცვისა და

სამართლიან მოპყრობაზე წვდომის შესაძლებლობის მიზნით [3, 9], გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისრის ოფისის (UNHCR) 2020 წლის მონაცემებით, მსოფლიოში 82 მილიონი ადამიანი იყო ისეთი, რომელიც იძულებული გახდა დაეტოვებინა საცხოვრებელი ადგილი, საიდანაც საკუთარი წარმოშობის საზღვრებს შიგნით სხვადასხვა ტერიტორიაზე იძულებით გადაადგილებულად რჩება 48 მილიონი [4].

მიუხედავად იმისა, რომ იძულებით გადაადგილების გამომწვევი მიზეზების გარკვეული კატეგორიზება და დაკავშირება შეგვიძლია პოლიტიკურ, ეკონომიკურ, ეთნიკურ გარემოებასთან თუ ადამიანის უფლებრივ საკითხებთან, შეიძლება ითქვას, არსებობს იძულებით გადაადგილების იმდენი მიზეზი, რამდენიც თავად იძულებით გადაადგილებული პირია [5, 32]. შესაბამისად, იძულებით გადაადგილებული პირის საჭიროებების შესწავლისას აუცილებელია არა მარტო წარმოშობის ქვეყნისა და საერთაშორისო საზოგადოების წინაშე არსებული ფაქტორების ანალიზი, არამედ ინდივიდუალურად იძულებით გადაადგილებული პირის საჭიროებების დეტალურად შესწავლა [6].

სახელმძღვანელო პრინციპების თანახმად [1], ქვეყნის შიგნით იძულებით გადაადგილებული პირები უნდა სარგებლობდნენ საერთაშორისო და შიგა სამართლით განსაზღვრული ყველა იმ უფლებით, როგორც სხვა პირები ამ ქვეყანაში. დოკუმენტი ეროვნულ ხელისუფლებას აკისრებს პირდაპირ პასუხისმგებლობასა და მოვალეობას დაიცვან იძულებით გადაადგილებული პირები. მათ უფლება აქვთ უსაფრთხოება ეძებონ ქვეყნის სხვა ნაწილში, ისევე როგორც იძულებით განსახლებისგან ისეთ ადგილას, სადაც მათი სიცოცხლე, უსაფრთხოება, თა-

ვისუფლება ან/და ჯანმრთელობა რისკის ქვეშ იქნება (პრინციპი 15) [1].

ქვეყნის შიგნით იძულებით გადაადგილებულ პირთა უფლებების დაცვის კუთხით ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხი გრძელვადიანი გადაწყვეტაა. ამაზე ამახვილებენ ყურადღებას ე. და ა. სმიტები. „როგორც იძულებით გადაადგილების შესახებ სახელმძღვანელო პრინციპების 28-ე პრინციპშია მოცემული, ქვეყნის შიგნით იძულებით გადაადგილებულ პირებს აქვთ მათი საკითხის გრძელვადიან გადაწყვეტაზე წვდომის უფლება და, ხშირად, შეიძლება დასჭირდეთ დახმარება ამ მიმართულებით“ [7, 148]. ამავე პრინციპის მიხედვით, ეროვნულ ხელისუფლებას უპირატესი ვალდებულება ენიჭება, მოახდინოს იმ პირობების უზრუნველყოფა, რომელიც იძულებით გადაადგილებულ პირებს მისცემს უკან, ნებაყოფლობით დაბრუნების შესაძლებლობას. ფაქტობრივად, იძულებით გადაადგილებული პირებისთვის საკითხის გრძელვადიანი გადაწყვეტა ქვეყნის ინტერესებიც შედის. აღნიშნული საკითხების მოუგვარებლობა საფრთხის შემცველია ქვეყნის უსაფრთხოებისა და სტაბილურობისათვის. ამასთან ერთად, საჭიროა განისაზღვროს ის კრიტერიუმი, რომლის მიხედვითაც მოხდება ქვეყნის შიგნით იძულებით გადაადგილებულ პირთა საკითხის გრძელვადიანი გადაწყვეტის შეფასება [7, 149].

ქვეყნის შიგნით იძულებით გადაადგილებული პირების გრძელვადიანი გადაწყვეტის მიღწევის სამი ალტერნატივა არსებობს:

- წარმოშობის ადგილას მდგრადი ინტეგრაცია (ე.ი. დაბრუნება);
- მდგრადი ინტეგრაცია ქვეყნის იმ ადგილას, სადაც ქვეყნის შიგნით იძულებით გადაადგილებულ-

მა პირმა შეაფარა თავი (ადგილობრივი ინტეგრაცია) [8, 168];

- მდგრადი ინტეგრაცია ქვეყნის სხვა ნაწილში (საუბარია განსახლებაზე ქვეყნის სხვა ნაწილში).

მნიშვნელოვანია, რომ ქვეყნის შიგნით იძულებით გადაადგილებულ პირთათვის ნებისმიერი სახის გრძელვადიანი გადაწყვეტა გაგებულ უნდა იქნეს, როგორც გრძელვადიანი პროცესი, რომელიც მიმართულია გადაადგილების შედეგად წარმოქმნილი საჭიროების შემცირებისკენ და ქვეყნის შიგნით იძულებით გადაადგილებულ პირთა მიერ, თავიანთი, ადამიანის უფლებით თავისუფლად, დისკრიმინაციის გარეშე, სარგებლობის გარანტირებისკენ [9, 16].

ამასთან, როგორც ა. სმიტი აღნიშნავს, გრძელვადიანი გადაწყვეტა მოითხოვს სხვადასხვა აქტორის ერთობლივ, კოორდინირებულ და დროულ ჩართულობას [7, 106]. სწორედ კოორდინირებული ერთიანი საქმიანობით და გრძელვადიანი გადაწყვეტილების გზების შემუშავებაში იძულებით გადაადგილებულ პირების მონაწილეობითაა შესაძლებელი მათი უფლებებისა და საჭიროებების სრული გათვალისწინება. ყოველივე კი მიიღწევა შემდგომი მექანიზმების სრულყოფით:

- იძულებით გადაადგილებულ პირებისთვის გრძელვადიანი გადაწყვეტის საკითხის განმარტება;

- გრძელვადიანი გადაწყვეტისათვის საჭირო პირობებისა და პროცესებზე ინფორმაციის მიწოდება;

- კრიტერიუმის დადგენა, რომელიც გაამარტივებს იმის გაანალიზებას, თუ რა დონეზე მოხდა იძულებით გადაადგილებულ პირთა საკითხის გრძელვადიანი გადაწყვეტა [9, 15].

ქვეყნის შიგნით იძულებით გადაადგილებულ პირებს იცავს ეროვნული თუ საერთაშორისო სამართლის ნორმები იმისდა მიუხედავად, მოხდა თუ არა მათი გრძელვადიანი განსახლების უზრუნველყოფა [9, 17]. მათ უფლება აქვთ მიიღონ ინდივიდუალური, ინფორმირებული და ნებაყოფლობითი გადაწყვეტილება, დაბრუნდნენ მუდმივ საცხოვრებელ ადგილას ან დაფუძნდნენ და ინტეგრირდნენ განსახლების ახალ ადგილას [10, 346].

იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ იძულებით გადაადგილების გამომწვევი მიზეზების აღმოფხვრა და ამ პირების საცხოვრებელ ადგილას დაბრუნება უმრავლეს შემთხვევებში შეუძლებელია, ქვეყნის შიგნით იძულებით გადაადგილებული პირების უფლებების რეალიზების გზა ადგილობრივ ინტეგრაციაშია.

იძულებით გადაადგილებულ პირთა ინტეგრაციას როგორც უფლებას, ხშირად მოიხსენიებენ უფრო ტერმინად, ვიდრე განსაზღვრულ კონცეფციად. უფრო მეტიც, ბოლო პერიოდში, ხშირად მიმართავენ ტერმინ „სოციალურ ერთიანობას“, რომელიც ტერმინ „ინტეგრაციის“ ალტერნატივად, საზოგადოების დასახასიათებლად გამოიყენება. საუბარია კონკრეტული ჯგუფებისა და ინდივიდების საზოგადოებასთან ერთად ინტეგრაციაზე. ყველა ჯგუფი თუ ინდივიდი საზოგადოებაში გარკვეული ხარისხით ახდენს ინტეგრაციას, შესაბამისად კონკრეტული ანალიზის შემდეგ შეიძლება დადგინდეს, თუ რა დონეზე ინტეგრირდა აღნიშნული პირი/ჯგუფი“ [11, 156]. ინტეგრაცია გულისხმობს სრულ პროცესს, რომელიც სხვადასხვა სახით შეიძლება განხორციელდეს. ინტეგრაცია მიიჩნევა, როგორც ინდივიდთა ცხოვრების ხარისხის ამაღლების ხელშემწყობი, როგორც სა-

ზოგადობის ერთგვაროვანი ჩამოყალიბების საწინდარი. ს. პანდელიანო, ე. დავეი და სხვები მიიჩნევენ, რომ ინტეგრაცია თავისი არსით საზოგადოებაში ინდივიდების ურთიერთობის გამოხატულებაა [5, 134]. როგორც კასტელი აღნიშნავს, ინტეგრაციის ერთიანი, საყოველთაოდ აღიარებული განმარტება არ არსებობს [12] და ხშირად ქვეყნის შიგნით იძულებით გადაადგილებულ პირთა და ლტოლვილთა ინტეგრაციის საკითხზე სხვადასხვა მოსაზრებაა ჩამოყალიბებული. ადგილობრივი ინტეგრაციის შესახებ გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისრის ოფისის 2005 წლის დასკვნით [13], ინტეგრაცია დინამიკური და მრავალგანზომილებიანი ორმხრივი პროცესია, რომელიც ყველა ჩართული მხარის ძალისხმევას მოითხოვს, მათ შორის ინდივიდების მზაობას ადაპტირდნენ მიმღებ საზოგადოებაში თავიანთი კულტურული იდენტობის დათმობის გარეშე [14, 87]; მეორე მხრივ მიმღები საზოგადოებისა და სახელმწიფო ინსტიტუტების მხრიდან, შემხვედრი მზაობის გათვალისწინებით, გაუმკლავდნენ მრავალფეროვან საზოგადოებას, რაც გულისხმობს იმას, რომ ყოველივე დაკავშირებულია როგორც მიგრანტების, ისე მასპინძელი საზოგადოების ჩართულობასთან ინტეგრაციის პროცესში [7, 291]. რაც შეეხება ლტოლვილების ინტეგრაციის პროცესებს, ძირითადი განსხვავება მათ შორის სამართლებრივი ასპექტია, რამდენადაც ქვეყნის შიგნით იძულებით გადაადგილებული პირები არიან მიმღები სახელმწიფოს მოქალაქეები. შესაბამისად, მათ უკვე აქვთ იგივე უფლებები, რაც ამ სახელმწიფოს მოხელეებს, ლტოლვილების შემთხვევაში კი მათი უფლებების წარმოშობა თავიდან ბოლომდე მათ სტატუსზეა დამოკიდებული [11, 156].

სამართლებრივი კუთხით განსხვავების მიუხედავად, ლტოლვილებსა და ქვეყნის შიგნით იძულებით გადაადგილებულ პირებს მსგავსი პრობლემები აქვთ ადეკვატურ საცხოვრებელთან, საკვებსა და წყალზე ხელმისაწვდომობასთან, ჯანმრთელობის დაცვის საკითხებსა და სხვადასხვა სახის ძალადობის მიმართ მოწყვლადობასთან. თუმცა გარკვეული ტიპის დარღვევები მეტად გავრცელებულია ქვეყნის შიგნით იძულებით გადაადგილებულ პირებს შორის, განსაკუთრებით ეთნიკური წმენდის დროს, როცა გარკვეული კომუნის წევრებს მიზანმიმართულად აძევებენ საცხოვრებელი ადგილიდან პოლიტიკური, სამხედრო თუ ტერიტორიული მიზნების მისაღწევად. ქვეყნის შიგნით იძულებით გადაადგილებული პირების და ლტოლვილების დაცვა საოპერაციო კონტექსტში ერთმანეთისგან განსხვავდება [15, 12]. გარდა ამისა, რამდენადაც ქვეყნის შიგნით იძულებით გადაადგილებული პირები არიან ამ ქვეყნის მოქალაქეები და შესაძლოა მათი ნაწილი ნაკლებად იყოს კულტურული და ენობრივი ბარიერი მიმღებ საზოგადოებასთან. აქედან გამომდინარე, ქვეყნის შიგნით იძულებით გადაადგილებულ პირთა ინტეგრაცია ორიენტირებული უნდა იყოს გადაადგილებულ პირთა საჭიროებებზე.

არ არსებობს დადგენილი წესი, რომლის მიხედვითაც ინტეგრაციის წარმატებულობის გაზომვა მოხდება, როგორც არ არსებობს საერთაშორისოდ აღიარებული ინდიკატორები, რომლებიც შეაფასებენ ინტეგრაციის პროცესს. გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისრის ოფისი გრძელვადიანი გადაწყვეტის პირობად განიხილავს გარკვეულ ფაქტორებს, რომელთა ერთობლიობა საფუძველს ქმნის

ინტეგრაციისათვის. ეს პირობები ეხება დისკრიმინაციის შეზღუდვასა და თანაბარ წვდომას, მათ შორის სამართლებრივი და ფიზიკური დაცულობის უზრუნველყოფას, ხელისუფლების მიერ, სამართალდამცავი მექანიზმებით, პოლიციისა და სასამართლოს მხრიდან რომ აღარ განიცდიდნენ დევნას, თავდასხმას, შევიწროებას, დაშინებას; არ გახდნენ დისკრიმინაციის მსხვერპლი, იძულებითი გადაადგილების გამო; დოკუმენტირებას, რომელიც უფლებების რეალიზებისა და ცხოვრების ყველა სფეროში შემდგომი ჩართულობის აუცილებელი პირობაა; გადაადგილების თავისუფლებას; ოჯახის გაერთიანების უფლებას; ზიანის გამოსწორებას, მათ შორის ქონების რესტიტუციასა და კომპენსაციას; სახელმწიფო სერვისებზე წვდომას, მათ შორის განათლებაზე, ჯანმრთელობასა და სოციალურ დაცვაზე, დასაქმების, საარსებო და შემოსავლის წყაროების ხელმისაწვდომობას, როგორც პოლიტიკურ უფლებას [10, 349-353]. ამ ყოველივეს პირი მიჰყავს ინტეგრაციამდე ეკონომიკური, სოციალურ-კულტურული და პოლიტიკური განზომილებებით. ინტეგრაცია მიღწეულად შეიძლება ჩაითვალოს, თუკი ქვეყნის შიგნით იძულებით გადაადგილებული პირები აღარ საჭიროებენ სპეციფიკურ მხარდაჭერას ან დაცვას იმ უფლებების რეალიზაციის პროცესში, რაც მათ იძულებით გადაადგილებასთანაა დაკავშირებული. გარდა ამისა, არა მხოლოდ მაშინ, როცა აღარ საჭიროებენ დამატებით მხარდაჭერას, არამედ როცა აღარ არსებობს განსხვავება იძულებით გადაადგილებულ პირებსა და ადგილობრივი მიმღები საზოგადოების წარმომადგენლებს შორის, საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩართვის შესაძლებლობებისა და ძირითადი სამოქალაქო უფლებების მხრივ [16, 17].

შესაბამისად, ეროვნულმა ხელისუფლებამ, როგორც სახელმძღვანელო პრინციპებით (პრინციპი 3) [1] განსაზღვრულმა პირდაპირმა პასუხისმგებელმა, უნდა განახორციელოს ყველა საჭირო მოქმედება ქვეყნის შიგნით იძულებით გადაადგილებულ პირთა უფლებების დაცვისა და ადგილობრივი ინტეგრაციის უზრუნველსაყოფად.

საქართველოს საკანონმდებლო ჩარჩო, რომელიც იძულებით გადაადგილებულ პირთა საკითხს არეგულირებს, იზიარებს გაეროს სახელმძღვანელო პრინციპებს, როგორც საერთაშორისო ნორმატიულ ჩარჩოს, რომელსაც ეფუძნება იძულებით გადაადგილებულ პირთა მიმართ განხორციელებული საქმიანობა ეროვნულ თუ ადგილობრივ დონეზე.

დღეისათვის ქვეყნის შიგნით გადაადგილებული პირების – დევნილების საკითხს არეგულირებს 2014 წელს მიღებული კანონი „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა“ შესახებ, რომელიც იძლევა ქვეყნის შიგნით იძულებით გადაადგილებული პირის – დევნილის დეფინიციას, განსაზღვრავს დევნილის სამართლებრივი სტატუსის მინიჭების წესს, როგორც მათ უფლებებს და სახელმწიფოს მიერ გასატარებელ კონკრეტულ ღონისძიებებს დევნილთა გრძელვადიანი გადაწყვეტის, მათი უფლებების დაცვისა და ინტეგრაციისთვის.

საქართველოში ქვეყნის შიგნით იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა ინტეგრაციის საკითხზეა ყურადღება გამახვილებული, ასევე „იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა მიმართ სახელმწიფო სტრატეგიაში“. აღნიშნულ დოკუმენტში გამოკვეთილია ის ძირითადი საკითხები, რაც დაკავშირებულია ქვეყნის შიგნით იძუ-

ლებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა ინტეგრაციასთან. ძირითადი აქცენტი გაკეთებული, ერთი მხრივ, დევნილთათვის საქართველოს სხვა მოქალაქეების იდენტური სამართლებრივი, პოლიტიკური და სოციალურ - ეკონომიკური პირობების შექმნაზე და, მეორე მხრივ, აღნიშნული პირობების ხელშემშლელი ფაქტორების აღმოფხვრაზე. უნდა ითქვას, რომ სტრატეგია მიღებისთანავე შესაბამისობაში იყო არსებულ საკანონმდებლო ბაზასთან. თუმცა, საკანონმდებლო ბაზის არსებობასთან ერთად, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მოხდეს დადგენილი ნორმების პრაქტიკაში იმპლემენტაცია, დევნილთა ინტეგრაციასთან დაკავშირებული სტანდარტების დაცვით.

დასკვნა

განვიხილოთ ქვეყნის შიგნით იძულებით გადაადგილებისა და ინტეგრაციის საკითხები საერთაშორისო პროცესებზე დაყრდნობით. განსაკუთრებული ყურადღება უნდა გამახვილდეს იძულებით გადაადგილების ფორმაზე, კერძოდ ერთი სახელმწიფოდან მეორეში. ერთი სახელმწიფოს ფარგლებში აღნიშნული საკითხის დაკონკრეტება არსებითად მნიშვნელოვანია, ვინაიდან ამ ორ შემთხვევაში განსხვავებულია როგორც მათი სამართლებრივი სტატუსი, ისე საჭიროებები. ამაზე ყურადღებას იმითომ ვამახვილებთ, რომ იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა კონკრეტული საჭიროებები და ადამიანის უფლებებთან დაკავშირებული პრობლემები, კონფლიქტის დასრულებასთან ერთად, ავტომატურად არ მთავრდება, არც მაშინ მთავრდება, როდესაც ისინი საწყის ეტაპზე მიმდინარე კონფლიქტებისგან დაცულ ადგილას აფარებენ თავს.

სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ქვეყნის შიგნით იძულებით გადაადგილება საცხოვრებელი ადგილის დატოვებისთანავე არ სრულდება. უფრო მეტიც, იძულებით გადაადგილების დასრულება არის პროცესი, როდესაც სპეციალური დახმარებისა და დაცვის საჭიროება მცირდება და ქრება [10, 346]. მათ სჭირდებათ მხარდაჭერა, ვიდრე ამ პრობლემის გრძელვადიანი გადაწყვეტის გზა არ მოიძებნება. რაც შეეხება საკითხის გრძელვადიან გადაწყვეტას, ყოველივე მიიღწევა იმ შემთხვევაში, თუ იძულებით გადაადგილებულ პირებს აღარ სჭირდებათ რაიმე კონკრეტული დახმარება და შეუძლიათ დევნილობის უფლებით ისარგებლონ, ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე. აღნიშნულის მიღწევა შესაძლებელია მუდმივ საცხოვრებელ ადგილას მდგრადი რეინტეგრაციით (დაბრუნების უფლება), ახალი განსახლების ადგილებში ინტეგრაციით (ადგილობრივი ინტეგრაცია) ან ქვეყნის სხვა ნაწილში განსახლებით. როგორც ვ. კალინი, ვ. ვილიამსი და სხვები აღნიშნავენ, დევნილთათვის ინტეგრაციის პროცესის განსაზღვრისას გათვალისწინებული უნდა იქნეს ქვეყნის შიგნით იძულებით გადაადგილების მახასიათებლები [17, 281]. ასევე ქვეყნის შიგნით იძულებით გადაადგილების სახელმწიფო პოლიტიკაში ყურადღება უნდა დაეთმოს ინტეგრაციის საჭიროებებს და ქვეყნის შიგნით იძულებით გადაადგილების პროცესის დასრულებას შორის არსებულ კავშირსა და ურთიერთმიმართებას, უნდა მოხდეს ქვეყნის შიგნით იძულებით გადაადგილებულ პირის ინფორმირება იმ გარანტიებსა და მათი საკითხების გრძელვადიანი გადაწყვეტის შესახებ, რაც შემდგომში ბევრად უფრო გაამარტივებს მათ მიერ ნებაყოფლობით გადაწყვეტილების მიღებას.

ლიტერატურა

1. United Nations. (1998). Guiding Principles on Internal Displacement;
2. Tane, B. (1981). *Refugee Experience: Defining root causes*. International Migration Review, 15, 1, p. 320-330;
3. Turton, D. (2013). *Conceptualizing Forced Migration*;
4. UNHCR, Refugee Data Finder. <https://www.unhcr.org/refugee-statistics/>
5. Pantuliano, S., Metcalfe, V., Haysom, S., Davey, E. (2012). *Urban Vulnerability and Displacement: a review of current issues*;
6. Martin, S. (2010). *Forced Migration, the Refugee Regime and the Responsibility to Protect*. p. 38-59;
7. Smith, A. (2012). *Education and Internally Displaced Persons*;
8. Weiss, Th. G, Korn, D. A. (n.d). Internal Displacement: Conceptualization and Its Consequences. London: Routledge;
9. XIII Session of UN Human Rights Council. (2009). *Framework of Durable Solutions for Internally Displaced Persons*;
10. UNHCR. (2007). Handbook for the Protection of Internally Displaced Persons, Global Protection Cluster Working Group, Geneva, Switzerland. pp. 346-353;
11. Piguet, E. (2008). *Climate Change and Forced Migration*;
12. Castles, S. (2003). *The Age of Migration: Migration in the Twenty-First Century*, 5th Edition;
13. UNHCR. (2005). Conclusion on Local Integration No; 104(LVI)- <https://www.unhcr.org/excom/exconc/4357a91b2/conclusion-local-integration.html>
14. Egeland, J. (2003). *The Northern Uganda War*;
15. Couldrey, M, Morris, T. (2006). Putting IPDs on the map: achievements and challenges, Forced Migration Review. Refugee Studies Centre, Brookings Institution-University of Bern; <https://reliefweb.int/sites/reliefweb.int/files/resources/C2760806AE24E5EE4925723E000ED850-fmr-idp-dec06.pdf>
16. Danish Refugee Council. (2021). IDPs Integration – Criteria and Indicators. Kyiv, Ukraine;
17. Kalin, W., Williams, R.C., Koser, Kh., and Solomon, A. (2010). *Incorporating the Guiding Principles on Internal Displacement into Domestic Law: Issues and Challenges*, p. 281.

UDC 327

SCOPUS CODE 3320

<https://doi.org/10.36073/1512-0996-2022-1-236-246>

Integration of Internally Displaced Persons as a Right

Grigol Giorgadze

Department of Politics and International Relations, Georgian Technical University,
Georgia, 0160, Tbilisi, 77, M. Kostava str.

E-mail: Giga_giorgadze@yahoo.com

Reviewers:

J. Gabelia, PhD in Law, Professor, Faculty of Law and International Relations, GTU

Email: jema1.gabelia@mail.ru

D. Khupenia, PhD in International Relations, Assistant Professor, Faculty of Law and International Relations, GTU

Email: khupenia.d@gmail.com

Abstract. The discussion of the issues presented in the paper leads us to say that in analyzing the ways and approaches of durable solutions to IDPs, it is important to have a broad understanding of the issue, including the characteristics of IDPs, that is derivative to their vulnerability and the need for the specific support; As well as the accurate assessment of the needs of IDPs in the process of application of the most relevant form of the durable solution and the creation of the necessary conditions for the integration process, as well as the respective adaptation of the constituent components of integration; And for the implementation of all this, to establish an appropriate regulatory framework and to develop effective mechanisms.

Keywords: integration; internally displaced persons; long term solution; refugee.

UDC 327

SCOPUS CODE 3320

<https://doi.org/10.36073/1512-0996-2022-1-236-246>

Интеграция внутренне перемещенных лиц как право

Григол Гиоргадзе Департамент политики и международных отношений, Грузинский технический университет, Грузия, 0160, Тбилиси, ул. М. Костава 77
E-mail: Giga_giorgadze@yahoo.com

Рецензенты:

Д. Габелия, доктор права, профессор факультета права и международных отношений ГГУ

Email: jermal.gabelia@mail.ru

Д. Хупения, доктор международных отношений, ассистент-профессор факультета права и международных отношений ГГУ

Email: khupenia.d@gmail.com

Аннотация. Основываясь на обсуждении и анализе вопросов, представленных в документе, можно сказать, что необходимо учитывать политику интеграции: законодательные изменения для облегчения интеграции, упреждающая информация о государственных услугах и возможностях для беженцев и гуманитарных лиц, а также упрощения доставки этих услуг и их социально-экономическая интеграция.

Основная проблема, которая возникла в процессе решения этой проблемы, — это неспособность принять во внимание характеристики внутренне перемещенных лиц при определении процесса интеграции для ВПЛ.

Ключевые слова: беженец; внутренне перемещенные лица; долгосрочное решение; интеграция.

განხილვის თარიღი 13.01.2022

შემოსვლის თარიღი 20.01.2022

ხელმოწერილია დასაბეჭდად 25.03.2022